

რას მოიცავს ულტრასონოგრაფიული კვლევა ორსულობის 14 კვირამდე?

საინფორმაციო ფურცელი მომავალი მშობლებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის

საინფორმაციო ფურცელი მომავალი მშობლებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, მომზადებულია ორსულობის პირველი ტრიმესტრის (14 კვირამდე) სტანდარტული ულტრასონოგრაფიული კვლევის ალგორითმისა და ანტენატალური მეთვალყურეობის პროტოკოლის მიხედვით.

მომზადდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის გლობალური პროგრამის „გენდერული ნიშნით სქესის შერჩევის პრევენციისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერებისთვის (2017-2019)“ ფარგლებში.

რას მოიცავს ულტრასონოგრაფიული კვლევა ორსულობის 14 კვირამდე?

ფიზიოლოგიური ორსულობის შემთხვევაში, გეგმიურად ორი ულტრასონოგრაფიული კვლევის ჩატარებაა რეკომენდებული:

- I კვლევა - 10-14 კვირის ვადაზე
- II კვლევა - 19-21 კვირის ვადაზე

ამ ვადაზე **(10-14 კვირის პერიოდი)**, შესაძლებელია:

- 1) ნაყოფის რაოდენობის დადგენა.
- 2) ნაყოფის ორგანოების დათვალიერება:
 - მუცლისა და გულმკერდის ორგანოები
 - კიდურები
 - გული/გულისცემის სიხშირე
 - თავი
 - ხერხემალი
 - ამ დროს ნაყოფის სიგრძე დაახლოებით 45-85 მმ-ია

ამ პერიოდში, ასევე შესაძლებელია შეფასდეს:

ქრომოსომული ანომალიების სკრინინგის შემადგენელი კომპონენტი - კისრის არეში გამჭვირვალობის სისქე (NT), რომელიც აუცილებელია ინახოს მხოლოდ 11-13^(+6 ალ) კვირაზე და შეფასდეს დამატებით ლაბორატორიულ ტესტებთან ერთად. დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თქვენს მეან-გინეკოლოგს.

მნიშვნელოვანია გახსოვდეთ!

14 კვირამდე სქესის დადგენა არ არის რეკომენდებული, რადგან, სქესის განსაზღვრის სიზუსტე ორსულობის პირველ ტრიმესტრში დაბალია - 13 კვირამდე ნაყოფის სასქესო ორგანოები ორივე სქესის შემთხვევაში მსგავსია და არ იძლევა სქესის განსხვავებისა და ზუსტად დადგენის საშუალებას.

ამრიგად, **სქესის დადგენა რეკომენდებულია, 18-21 კვირის პერიოდში** შესრულებული ულტრაბგერითი კვლევისას. ამ პერიოდში სქესის დადგენის სიზუსტე 100% -ს უახლოვდება

გაითვალისწინეთ, რომ:

დამატებითი ულტრაბგერითი კვლევები ტარდება **მხოლოდ სამედიცინო ჩვენებით** (კონკრეტული მიზეზის არსებობის შემთხვევაში), რასაც განსაზღვრავს თქვენი ექიმი მეან-გინეკოლოგი.